სსიპ
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
ბრძანება
17 02 2015 № 20

თბილისი

დოქტორანტურაში მიღების გამოცხადების შესახებ

"უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სტუ-ს დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის შესახებ დებულების და სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 იანვრის №1415 დადგენილების საფუძველზე, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 2014-2015 სასწავლო წელს მეორე სემესტრისათვის სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის ორგანიზებულად ჩატარების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გამოცხადდეს მიღება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამებზე, სწავლების პირველ წელზე 2014-2015 სასწავლო წელს მეორე სემესტრიდან;
2. სადოქტორო პროგრამებზე ჩარიცხვის პროცესის წარმართვა დაევალოს სწავლების დეპარტამენტის საგანმანათლებლო პროგრამების განყოფილების უფროსს დ.ბიბილეიშვილს;
3. საბუთების მიღება სადოქტორო პროგრამების შესაბამის ვაკანსიებზე განხორციელდეს ფაკულტეტებზე 2015 წლის 18 თებერვლიდან 23 თებერვლის ჩათვლით (იხ.დანართი 1);
4. განცხადებების რეგისტრაცია, არსებული წესის თანახმად, დაევალოს სტუ-ს კანცელარიის უფროსს ე. ოხანაშვილს;
5. საჭიროების შემთხვევაში, გამოცდა უცხოურ ენაში სოციალური მეცნიერებების სადოქტორო პროგრამაზე ჩაბარების მსურველთათვის ჩატარდეს 2015 წლის 24 თებერვალს 12 საათზე კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში (სტუ-ს 1 კორპუსი,1 სართული, კოსტავას ქ.72);
6. უცხოური ენის გამოცდების შესახებ საპრეტენზიო განცხადებების მიღება იწარმოებს 2015წლის 24 თებერვლის 16 საათამდე, კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში (სტუ-ს 1 კორპუსი,1 სართული, კოსტავას ქ.72). აღნიშნული განცხადებების განხილვა დაიწყება 2015 წლის 24 თებერვალს კომპიუტერულ საგამოცდო ცენტრში 16 საათიდან;
7. გასაუბრება საფაკულტეტო დროებით კომისიაში ჩატარდეს 2015 წლის 25 თებერვალს 12 საათიდან;
8. ჩარიცხვის პროცესი დასრულდეს 2015 წლის 2 მარტამდე.
9. კონტროლი ბრძანების შესრულებაზე დაევალოს სწავლების დეპარტამენტის უფროსს ი.ლომიძეს.
10. ბრძანება განთავსდეს სტუ-ს ვებგვერდზე.

რექტორი ა.ფრანგიშვილი

ვიზები:
რექტორის მოადგილე სასწავლო
დარგში ლ. კლიმიაშვილი

სწავლების დეპარტამენტის
უფროსი ი. ლომიძე

იურიდიული დეპარტამენტის
უფროსი ბ. მაისურაძე

1. ენერგეტიკისა და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი - სტუ-ს VIII კორპუსი, მე-4 სართული, ოთახი 410
   საკონტაქტო ტელეფონი - 593 393132

2. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - სტუ-ს I კორპუსი, c კორპუსი, მე-4 სართული, ფაკულტეტის დეკანატი
   საკონტაქტო ტელეფონი - 574 443698

3. ბიზნეს-ინჟინერინგის ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-9 სართული , ოთახი 912 ა
   საკონტაქტო ტელეფონი - 599 177079

4. ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტი - სტუ-ს VI კორპუსი, მე-3 სართული , ოთახი 303 ა
   საკონტაქტო ტელეფონი - 237 13 19;